მატჩი ლენინგრადში

ლენინგრადი. 6 ოქტომბერი (ტელეგრაფით, ჩვენი სპეც. კორ.).

მატჩმა სსრ კავშირის პირველობაზე ლენინგრადის "ზენიტსა" და თბილისის "დინამოს" შორის უდიდესი ინტერესი გამოიწვია ლენინგრადის სპორტულ საზოგადოებრიობაში. შეხვედრის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისათვის.

მსაჯის ნ. ხლოპოტინის (მოსკოვი) სასტვენზე მოწინააღმდეგენი მინდორზე გამოვიდნენ ასეთი შემადგენლობით: "დინამო": კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი. "ზენიტი": ლაზუნოვი, სტეპანოვი, შიშკოვი, გეკი, დერგაჩოვი, ზავიდონოვი, ბურჩალკინი, ბატანოვი, მოროზოვი, ბონდარენკო, ხრაპოვიცკი (ცარიცინი).

ნაწვიმარი, სველი მინდვრის მიუხედავად, თამაში მიმდინარეობდა სწრაფ ტემპში, გარდამავალი უპირატესობით. მე-11 წუთზე დინამოელთა ერთ-ერთი შეტევისას, მელაშვილმა ძლიერად დაარტყა კარში, ბურთი მოხვდა რომელიღაც მცველს და ბადეში გაეხვია _ 1:0.

ტაიმის დასასრულს ლენინგრადელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და რამდენიმე მეტად მწვავე მომენტი შექმნეს დინამოელთა კართან. მე-40 წუთზე თორაძემ თითქმის კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი, ხოლო 42-ე წუთზე კოტრიკაძე წინდაუხედავად გამოვიდა საჯარიმო მოედანზე და ბონდარენკომ ცარიელ კარში შეუფერხებლად გაგზავნა ბურთი _ 1:1.

მეორე ტაიმში "დინამოს" ჰქონდა ანგარიშის გაზრდის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ჯერ მელაშვილმა, ხოლო შემდეგ კალოევმა უაღრესად ხელსაყრელი მდგომარეობიდან ააცილეს ბურთი კარს. მატჩის ბოლო წუთებზე ლენინგრადელები კვლავ გადავიდნენ იერიშზე და უკვე გონგის შემდეგ მოროზოვმა გაიტანა გოლი, რომელმაც "ზენიტს" მოუტანა გამარჯვება ანგარიშით 2:1.

აღსანიშნავია, რომ თბილისელებმა ვერ აჩვენეს კოლექტიური თამაში. ცუდად ჩაატარეს მატჩი კოტრიკაძემ, მელაშვილმა, ბარქაიამ.

დუბლიორთა მატჩი დამთავრდა აგრეთვე ლენინგრადელთა გამარჯვებით _ 6:1.

ი. პარლაგაშვილი.

"ლელო", 8 ოქტომბერი, 1959 წ.

დამატებითი მონაცემები "სოვეტსკი სპორტიდან"